ოქმი:**ო03. 3723094001**

თარიღი:**04/04/2023**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 4 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ბ. მელუა, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკრგულების პროექტი- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი